საგამოცდო ნიმუშის კითხვები

ნაწილი ა

40-ვე კითხვა სავალდებულოა.
ყველა კითხვა 2-ქულიანია.

1. **რომელი ფორმულის გამოყენებით შეიძლება ინდმეწარმის მოგების გამოთვლა?**

   ა საბოლოო ნეტო აქტივებს + მესაკუთრის მიერ თანხების ამოღება – შეტანილი კაპიტალი – საწყისი ნეტო აქტივები

   ბ საბოლოო ნეტო აქტივებს – მესაკუთრის მიერ თანხების ამოღება + შეტანილი კაპიტალი – საწყისი ნეტო აქტივები

   გ საბოლოო ნეტო აქტივებს – მესაკუთრის მიერ თანხების ამოღება – შეტანილი კაპიტალი – ნეტო აქტივები

   დ საბოლოო ნეტო აქტივებს + მესაკუთრის მიერ თანხების ამოღება + შეტანილი კაპიტალი – საწყისი ნეტო აქტივები

2. **ქვემოთ ჩამოთვლილთაგან, რომელი ასახავს ყველაზე უკეთ მცირე სალაროს კონტროლის საქვეანგარიშო სისტემას?**

   ა ყოველკვირეული ხარჯვა არ უნდა აღემატებოდეს დადგენილ თანხას.

   ბ დახარჯული თანხით შევსება პერიოდულად ხდება, რათა შენარჩუნდეს ფიქსირებული ოდენობა.

   გ ფულადი სახსრების ხარჯვაზე შესაფერისი უფლების გაცემაა საჭირო.

   დ ფულადი სახსრების თანაბარი ოდენობის გადატანა ხდება პერიოდულად მცირე სალაროში.

3. **ქვემოთ ჩამოთვლილი განცხადებებიდან, შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიების შესახებ, რომელია სწორი?**

   1. კომპანიის ვალდებულებებთან და სესხებთან დაკავშირებული პასუხისმგებლობა შეზღუდულია.
   2. ფინანსური ანგარიშგება უნდა მომზადდეს.
   3. კომპანია აგრძელებს არსებობას, მისი მფლობელების ვინაობის მიუხედავად.

   ა მხოლოდ 1-ლი და მე-2

   ბ მხოლოდ 1-ლი და მე-3

   გ მხოლოდ მე-2 და მე-3

   დ 1-ლი, მე-2 და მე-3

4. ენი ინდმეწარმეა, რომელიც არ აწარმოებს სრულ აღრიცხვას. 20X6 წლის 30 ივნისს დასრულებულ წელს არსებობს მის მიერ კრედიტით მყიდველებსა და მომწოდებლებთან განხორციელებული ოპერაციების შესახებ შემდეგი ინფორმაცია:

	$
სავაჭრო დებიტორული დავალიანება, 20X5 წ. 1 ივლისი	130,000
სავაჭრო კრედიტორული დავალიანება, 20X5 1 ივლისი	60,000
მყიდველებისგან მიღებული ფულადი სახსრები	687,800
მომწოდებლებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები	302,800
მიღებული ფასდათმობა	2,960
კონტრა კრედიტორულ და დებიტორულ დავალიანებებს შორის	2,000
სავაჭრო დებიტორული დავალიანება, 20X6 წ. 30 ივნისი	181,000
სავაჭრო კრედიტორული დავალიანება, 20X6 30 ივნისი	84,000

რა ოდენობის შესყიდვა გამოჩნდება ენის მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში 2006 წლის 30 ივნისს დასრულებულ წელს?

ა $325,840

ბ $330,200

გ $331,760

დ $327,760

5. **ქვემოთ მოცემული რომელი ორი შეცდომა გამოიწვევს საცდელი ბალანსის დებეტებისა და კრედიტების სვეტების ჯამების დისბალანსს?**

1. გაყიდვების ციფრი ინვოისიდან შეცდომითაა გადატანილი გაყიდვების პირველადი გატარების ჟურნალში.
2. მყიდველისგან მიღებული ჩეკი დაკრედიტდა სალაროს ანგარიშში და სწორად აისახა დებიტორული დავალიანების ანგარიშში.
3. გრძელვადიანი აქტივის შეძენის აღრიცხვა გამორჩენილია ანგარიშებიდან.
4. მიღებული ივჯარის შემოსავალი საცდელ ბალანსში ჩაიწერა დებეტის მხარეს.

ა 1-ლი და მე-2

ბ 1-ლი და მე-3

გ მე-2 და მე-3

დ მე-2 და მე-4

6. 2005 წლის 31 დეკემბერს აუცილებელია კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში ქვემოთ ჩამოთვლილი განცხადებების ასახვა:

1. 2005 წლის 1 იანვარს კომპანიამ თანამშრომელზე გასცა $12,000 სესხი, რომელიც უნდა დაიფაროს 2006 წლის 1 იანვარს და მას დაერიცხება წლიური 2%. აღნიშნულ დროს თანამშრომელმა დააბრუნა სესხი და მთლიანად დაფარა სესხზე გადასახდელი პროცენტი.
2. 2005 წელს კომპანიამ გადაიხადა $9,000 დაზღვევა, რომელიც მოიცავდა 2006 წლის 31 აგვისტოს დასრულებულ წელს.
3. 2006 წლის იანვარში კომპანიამ მოიჯარისგან მიიღო $4,000 6 თვის ივჯარის ქირა, რომელიც მოიცავს პერიოდს 2005 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

ზემოხსენებული მუხლების გათვალისწინებით, მთლიანი მოკლევადიანი აქტივებისა და ვალდებულებების რა ოდენობა უნდა ჩაიწეროს კომპანიის ბალანსში 2005 წლის 31 დეკემბერს?

	მოკლევადიანი აქტივები $	მოკლევადიანი ვალდებულებები $
ა	10,000	12,240
ბ	22,240	ნული
გ	10,240	ნული
დ	16,240	6,000

7. კომპანიის მოგებისა და ზარალის ანგარიშგება 2005 წლის 31 დეკემბერს დასრულებულ წელს აჩვენებს $83,600 წმინდა მოგებას. მოგვიანებით გაირკვა, რომ მანქანის შესაძენად გადახდილი $18,000 დადებეტდა მანქანის შეკეთების ანგარიშზე. საწარმოს პოლიტიკაა მანქანას სრული ცვეთა შესყიდვის წელს დაარიცხოს წრფივი მეთოდის გამოყენებით, 25%-იანი წლიური განაკვეთით.

რა იქნება საწარმოს წმინდა მოგება ამ შეცდომის კორექტირების შემდეგ?

ა $106,100

ბ $70,100

გ $97,100

დ $101,600

8. სანის აქვს სამუშაო კაპიტალის შემდეგი კოეფიციენტები:

	20X9	*20X8*
მოკლევადიანი ლიკვიდობის	1.2:1	1.5:1
დებიტორული დავალიანების დაფარვის	75 დღე	50 დღე
კრედიტორული დავალიანების დაფარვის	30 დღე	45 დღე
მარაგის ბრუნვადობის	42 დღე	35 დღე

ქვემოთ მოცემული რომელი განცხადებაა სწორი?

ა სანის ლიკვიდობის და სამუშაო კაპიტალის კოეფიციენტები გაუმჯობესდა 20X9 წელს.

ბ სანი მყიდველებისგან ფულს 20X9 წელს უფრო სწარფად იღებს, ვიდრე 20X8 წელს.

გ სანი 20X9 წელში განიცდის ლიკვიდურობის მდგომარეობის გაუარესებას.

დ სანის 20X9 წელს მეტი დრო სჭირდება მომწოდებლისთვის ფულის გადასახდელად, ვიდრე 20X8 წელს.

9. ქვემოთ მოცემული რომელი განცხადებაა სწორი?

1. პირდაპირი მეთოდით მომზადებული ფულადი ნაკადების ანგარიშგების საოპერაციო ნაწილის შედეგი განსხვავდება არაპირდაპირი მეთოდით მომზადებულისგან.
2. უფლებითი აქციების გამოშვების ოდენობა არ აღირიცხება ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში.
3. გრძელვადიანი აქტივის გადაფასების ნამეტი არ აღირიცხება, როგორც მუხლი ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში.
4. გრძელვადიანი აქტივის გაყიდვის შედეგად მიღებული მოგება, აღირიცხება როგორც მუხლი ფულადი ნაკადების ანგარიშგების საინვესტიციო ნაწილში.

ა მხოლოდ 1-ლი და მე-3

ბ მხოლოდ მე-3 და მე-4

გ მხოლოდ მე-2 და მე-4

დ მხოლოდ მე-3

10. კომპანია უძრავი ქონებიდან იღებს იჯარის ქირას. 20X6 წლის 30 აპრილს დასრულებულ წელს მან მთლიანი თანხა $481,200 მიიღო.

ქვემოთ მოცემულია ავანსად მიღებული და მისაღები იჯარის თანხები 2005 და 2006 წლის 30 აპრილისთვის:

	20X5 წ. 30 აპრილი $	20X6 წ. 30 აპრილი $
ავანსად მიღებული იჯარა	28,700	31,200
დარიცხული იჯარა (შემდგომში ყველა მიღებული)	21,200	18,400

20X6 წლის 30 აპრილს დასრულებული წლის მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, რა თანხით უნდა აისახოს საიჯარო შემოსავალი?

ა $486,500

ბ $460,900

გ $501,500

დ $475,900

11. ქვემოთ მოცემული რომელი განცხადებაა სწორი?

ა საწარმოს ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაცია კოეფიციენტების გამოყენებით სასარგებლოა მხოლოდ პოტენციური ინვესტორებისთვის.

ბ ისტორიულ მონაცემებზე დაფუძნებული კოეფიციენტებით შესაძლებელია საწარმოს მომავალი საქმიანობის პროგნოზირება.

გ კოეფიციენტების გამოყენებით გაკეთებული ფინანსური ანგარიშგების ანალიზი სასარგებლო ინფორმაციას იძლევა იმავე საწარმოს წინა წლის, ან ზოგადად მრეწველობის საშუალო მონაცემებთან შედარებისას.

დ საწარმოს მმართველი ფინანსური კოეფიციენტების გამოყენებით ვერ შეაფასებს საწარმოს საქმიანობის შედეგებს.

12. ქვემოთ ჩამოთვლილი განცხადებებიდან, რომელი გვიჩვენებს სხვაობას ინდმეწარმესა და შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიებს შორის?

1. ინდმეწარმის ფინანსური ანგარიშგება არ არის საჯარო; კომპანიის ფინანსური ანგარიშგება აქციონერებს ეგზავნება და შესაძლებელია საჯაროდ გამოქვეყნდეს.
2. მხოლოდ კომპანიებს აქვთ სააქციო კაპიტალი.
3. ინდმეწარმე პირადად და სრულიად არის პასუხისმგებელი იმ ნებისმიერ ზარალზე, რომელიც საწარმოს შეიძლება ჰქონდეს.
4. მფლობელის მიერ თანხის ამოღება აისახება მხოლოდ ინდმეწარმის ფინანსურ ანგარიშგებაში.

ა მხოლოდ 1-ლი და მე-4

ბ მე-2, მე-3 და მე-4

გ მხოლოდ მე-2 და მე-3

დ 1-ლი, მე-3 და მე-4

13. კომპანიის მანქანის თვითღირებულების ანგარიში 2006 წლის 30 ივნისს იყო:

მანქანა (თვითღირებულება)

	$		$
პ/დ ნაშთი	35,800	გასვლა	12,000
შესყიდვა	12,950	პ/ბ ნაშთი	36,750
	48,750		48,750

მანქანის ღირებულების, რა საწყისი ნაშთი უნდა ჩაიწეროს ზემოხსენებული პერიოდის საცდელ ბალანსში 2006 წლის 1 ივლისს?

ა $36,750 დებეტი

ბ $48,750 დებეტი

გ $36,750 კრედიტი

დ $48,750 კრედიტი

14. არამატერიალურ აქტივებთან დაკავშირებით, ქვემოთ მოცემული რომელი ორი ინ-ფორმაცია უნდა გასაჯაროვდეს ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში?

1. ფინანსურ ანგარიშგებაში კაპიტალიზებული არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადა.
2. წლის განმავლობაში განხორციელებული საკონსტრუქტორო სამუშაოების პროექტების აღწერა
3. წლის განმავლობაში შეძენილი ან განხორციელებული არამატერიალური აქტივების ჩამონათვალი.
4. წლის განმავლობაში ჩამოწერილი არამატერიალური აქტივების გაუფასურების ზარალი.

ა 1-ლი და მე-4

ბ მე-2 და მე-3

გ მე-3 და მე-4

დ 1-ლი და მე-2

15. ქვემოთ მოცემული რომელი განცხადებაა სწორი?

1. კაპიტალიზებული საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების ხარჯები ამორტიზებულ უნდა იქნეს პერიოდის განმავლობაში, რომლის ხანგრძლივობა არ აღემატება ხუთ წელს.
2. კაპიტალიზებული საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების ღირებულება აისახება ბალანსში გრძელვადიანი აქტივების ქვესათაურის ქვეშ.
3. გარკვეული კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში, სამეცნიერო-კვლევითი ხარჯები უნდა აღიარდეს, როგორც არამატერიალური აქტივი.

ა მხოლოდ მე-2

ბ მე-2 და მე-3

გ მხოლოდ 1-ლი

დ 1-ლი და მე-3

16. შემდეგი ოპერაციები დაკავშირებულია 20X9 წლის 30 ივნისს დასრულებული წლის რაშიდის ელექტროენერგიის ხარჯის ანგარიშთან:

	$
წინასწარგადახდის საწყისი ნაშთი	550
გადახდილი ფული	5,400
დარიცხულის საბოლოო ნაშთი	650

ელექტროენერგიის რა ხარჯი დაერიცხება კომპანიის 20X9 წლის 30 ივნისს დასრულებული წლის მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში?

ა $6,600

ბ $5,400

გ $5,500

დ $5,300

17. 20X5 წლის 30 ივნისს კომპანიის დებიტორული დავალიანების ანარიცხი იყო $39,000. 20X6 წლის 30 ივნისს სავაჭრო დებიტორულმა დავალიანებამ შეადგინა $517,000. გადაწყვიტეს ჩამოწერონ $37,000 ღირებულების ვალი და, წარსული გამოცდილებიდან გამომდინარე, დებიტორული დავალიანების ანარიცხის ნაშთი განისაზღვროს დებიტორული დავალიანების 5%-ით.

20X6 წლის 30 ივნისს დასრულებულ წელს, რა ოდენობის უიმედო ვალების ხარჯი უნდა გამოჩნდეს მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში?

ა $61,000

ბ $52,000

გ $22,000

დ $27,000

18. V-ის კრედიტორული დავალიანებების ინდივიდუალური ანგარიშების ნაშთების ჯამი 2006 წლის 30 ივნისს იყო $438,900. ეს ჯამი არ არის V-ის კრედიტორული დავალიანების მაკონტროლებელი ანგარიშის ნაშთის ჯამის ტოლი. ჩანაწერებში აღმოჩნდა შემდეგი შეცდომები:

1. კონტრალური გატარება $980 აღირიცხა კრედიტორული დავალიანების მაკონ-ტროლებელ ანგარიშში, მაგრამ არ აღირიცხა კრედიტორული დავალიანებების ინდივიდუალურ ანგარიშში;
2. შესყიდვების უკან დაბრუნების პირველადი გატარების წიგნის ჯამი $1,000-ით ნაკლებით იყო დაჯამებული;
3. $4,344-ის ანგარიშ-ფაქტურა ჩაიწერა მომწოდებლის ანგარიშზე როგორც $4,434.

ზემოხსენებული რომელი თანხა უნდა აღრიცხოს V-იმ 2006 წლის 30 ივნისის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც კრედიტორული დავალიანება?

ა $436,830

ბ $438,010

გ $439,790

დ $437,830

19. ბასს 2-ის – „სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები“ – მიხედვით, რომელი *ორი* ქვემოთ ჩამოთვლილი ღირებულება უნდა შევიდეს მწარმოებელი კომპანიის მარაგის შეფასებაში?

1. მასალის მიტანის ხარჯები.
2. მზა პროდუქციის გატანის ხარჯები.
3. საწარმოს დანადგარების ცვეთის ხარჯები.
4. ძირითადი ადმინისტრაციული ზედნადებები.

ა 1-ლი და მე-4

ბ 1-ლი და მე-3

გ მე-3 და მე-4

დ მე-2 და მე-3

20. ფრია წლის განმავლობაში არ აწარმოებს თავისი ოპერაციების ზუსტ აღრიცხვას. მისი მარაგის საწყისი ნაშთი იყო $6,700 და შესყიდვა წლის განმავლობაში $84,000. წლის ბოლოს დარჩენილი იყო $5,400 გაუყიდველი მარაგი. გაყიდვები განხორციელდა გაყიდული საქონლის თვითღირებულებაზე 20% ფასნამატით.

რამდენი იყო ფრიას საერთო მოგება წლის განმავლობაში?

ა $13,750

ბ $17,060

გ $16,540

დ $20,675

21. 20X4 წლის 31 დეკემბერს კომპანიის კაპიტალის სტრუქტურა იყო:

	$
ჩვეულებრივი სააქციო კაპიტალი (500,000 25-ცენტიანი)	125,000
საემისიო კაპიტალი	100,000

20X5 წლის 31 დეკემბერს კომპანიამ გამოუშვა ყოველ ფლობილ 2 აქციაზე 1 აქცია, თითოეული $1.00-ად და ისინი სრულად გადანაწილდა. მოგვიანებით იმავე წელს კომპანიამ ყოველ ფლობილ 5 აქციაზე 1 ბონუსური აქცია გამოუშვა, რისთვისაც საემისიო კაპიტალი გამოიყენა.

რა იყო კომპანიის კაპიტალის სტრუქტურა 2005 წლის 31 დეკემბერს?

	ჩვეულებრივი სააქციო კაპიტალი $	საემისიო კაპიტალის ანგარიში $
ა	450,000	25,000
ბ	225,000	250,000
გ	225,000	325,000
დ	212,500	262,500

22. **ქვემოთ მოცემული რომელი მუხლი გამოჩნდება კომპანიის საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში?**

1. წლის სრული შემოსავლები.
2. კაპიტალიზებული საკონსტრუქტორო სამუშაოების ამორტიზაცია.
3. გრძელვადიანი აქტივების გადაფასების ნამეტი.

ა 1-ლი, მე-2 და მე-3

ბ მხოლოდ მე-2 და მე-3

გ მხოლოდ 1-ლი და მე-3

დ მხოლოდ 1-ლი და მე-2

23. საწარმოს მანქანა-დანადგარების (თვითღირებულების) ანგარიში 2005 წლის 31 დეკემბერს იყო შემდეგი:

მანქანა-დანადგარები (თვითღირებულება)

2005	$	2005	$
1 იანვარი პ/დ ნაშთი	240,000	31 მარტი გასვლის ანგარიშში გადატანა	60,000
30 ივნისი ფული - მანქანა-დანადგარების შესყიდვა	160,000	31 დეკემბერი პ/ბ ნაშთი	340,000
	400,000		400,000

კომპანიის პოლიტიკაა, ცვეთა დაარიცხოს პროპორციულად როგორც შესყიდვის, ასევე გაყიდვის წელს, წლიური 20%-იანი განაკვეთით, წრფივი მეთოდის გამოყენებით.

რამდენი იქნება ცვეთის ხარჯი 20X5 წლის 31 დეკემბერს დასრულებულ წელს?

ა $68,000

ბ $64,000

გ $61,000

დ $55,000

24. ქვემოთ მოცემულია ამონარიდი ჰარის ფინანსური ანგარიშგებიდან:

	$
მოგება დაბეგვრამდე და პროცენტამდე	10,200
პროცენტი	(1,600)
გადასახადი	(3,300)
მოგება დაბეგვრის შემდეგ	5,300

	$
სააქციო კაპიტალი	20,000
რეზერვები	15,600
	35,600
სასესხო ვალდებულება	6,900
	42,500

რამდენი იქნება ჰარის უკუგება გამოყენებულ კაპიტალზე?

ა 15%

ბ 29%

გ 24%

დ 12%

25. დღგ-ის შესახებ ქვემოთ მოცემული რომელი განცხადებაა სწორი?

1. დღგ არის შეძენილი საქონლის საბოლოო მომხმარებლის ხარჯი.
2. დღგ აღირიცხება საქონლის გამყიდველ საწარმოს ანგარიშებში, როგორც შემოსავალი.

ა მხოლოდ 1-ლი

ბ მხოლოდ მე-2

გ ორივე 1-ლი და მე-2

დ არც 1-ლი, არც მე-2

26. Q-ს საცდელი ბალანსი არ დაბალანსდა და სხვაობით გაიხსნა დამხმარე ანგარიში. Q არ აწარმოებს დებიტორული და კრედიტორული დავალიანების მაკონტროლებელ ანგარიშებს. Q-ს ბუღალტრულ ჩანაწერებში აღმოჩნდა შემდეგი შეცდომები:

1. ნომინალური ღირებულებით გამოშვებული აქციების ჩაწერისას, მიღებული $333,000 ფულადი სახსრები ჩვეულებრივი აქციების კაპიტალის ანგარიშში აღირიცხა როგორც $330,000.
2. მანქანა-დანადგარების რემონტისთვის გადახდილი $2,800 სწორად ჩაიწერა სალაროს ანგარიშში, მაგრამ დაკრედიტდა მანქანა-დანადგარების ანგარიშზე.
3. გამორჩათ მცირე სალაროს ნაშთის $500 გადატანა საცდელ ბალანსში.
4. მანქანის შეძენისთვის გადახდილი ჩეკი $78,400 დადებეტდა მანქანის ანგარიშზე როგორც $87,400.

ზემოხსენებული, რომელი შეცდომის გასწორებაა საჭირო დამხმარე ანგარიშში?

ა მხოლოდ 1-ლი, მე-2 და მე-4

ბ 1-ლი, მე-2, მე-3 და მე-4

გ მხოლოდ 1-ლი და მე-4

დ მხოლოდ მე-2 და მე-3

27. 20X9 წლის 31 ივლისს საფინანსო წლის დასრულებამდე, C კომპანიამ მომხმარებლისგან მიიღო $100,000 მოთხოვნის შეტყობინება, ცუდი ხარისხის საქონლის მიწოდებისთვის, რამაც მას საწარმოო დანადგარები დაუზიანა. იურისტის აზრით, არსებობს 20% შანსი, რომ C წარმატებით დაიცავს თავის უფლებებს.

ქვემოთ მოცემული რომელი ბუღალტრული მიდგომაა სწორი ამ სარჩელის ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვისთვის 20X9 წლის 31 ივლისს?

ა C–მ ეს ინფორმაცია არ უნდა ასახოს ფინანსურ ანგარიშგებაში და არც მოიხსენიოს შენიშვნებში.

ბ C–მ უნდა მოიხსენიოს ეს ინფორმაცია, როგორც **$100,000** პირობითი ვალდებულება, ფინანსური ანგარიშგების გასავჯაროებული ინფორმაციის შენიშვნებში.

გ C–მ ეს ინფორმაცია უნდა ასახოს ფინანსურ ანგარიშგებაში, როგორც მოსალოდნელი $100,000 ხარჯი.

დ C–მ ეს ინფორმაცია უნდა ასახოს ფინანსურ ანგარიშგებაში, როგორც მოსალოდნელი $20,000 ხარჯი.

28. ემი ინდმეწარმეა და მისი აქტივების ღირებულება 20X8 წლის 1 იანვარს იყო $569,400 და ვალდებულებების ღირებულება $412,840. 20X8 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის განმავლობაში მან დააბანდა ბიზნესში $65,000 კაპიტალი და საკუთარ თავს გადაუხადა ხელფასი თვეში $800.

ემის აქტივების ღირებულება 20X8 წლის 31 დეკემბერს იყო $614,130 და ვალდებულებების ღირებულება $369,770.

რამდენი წლიური მოგება ჰქონდა ემის 20X8 წლის 31 დეკემბერს?

ა $32,400

ბ $23,600

გ $22,800

დ $87,800

29. გარეტმა, დღგ-ის გადასახდელად დარეგისტრირებულმა მოვაჭრემ, შეიძინა კომპიუტერი საწარმოში გამოსაყენებლად. შეძენის ინვოისი შეიცავდა შემდეგ ხარჯებს:

	$
კომპიუტერი	890
დამატებითი მეხსიერება	95
მიტანა	10
მონტაჟი	20
შეკეთება (1 წლის)	25
	1,040
დღგ (17.5%)	182
სულ	1,222

შესყიდვიდან გამომდინარე, კომპიუტერის რა ღირებულება უნდა კაპიტალიზდეს როგორც გრძელვადიანი აქტივი?

ა $1,193

ბ $1,040

გ $1,222

დ $1,015

30. ბუღალტრის ასისტენტმა მოამზადა ბანკის ამონაწერის შეჯერება:

	$
ოვერდრაფტი ბანკის ამონაწერის მიხედვით	3,860
მინუს: წარუდგენელი ჩეკები	9,160
	5,300
პლუს: დეპოზიტი, რომელიც შემდეგ დაკრედიტდა	16,690
სულ მიღებული ფული ბანკში	21,990

რომელი სწორი ნაშთი იქნებოდა სალაროს ანგარიშზე?

ა $21,990 ნაშთი ბანკში, როგორც მოცემულია.

ბ $3,670 ნაშთი ბანკში.

გ $11,390 ნაშთი ბანკში.

დ $3,670 ოვერდრაფტი.

31. ბასსს-ს სტრუქტურული საფუძვლები შეიცავს ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის ხარისხობრივ მახასიათებლებს, რომელიც ფინანსურ ინფორმაციას სანდოს ხდის.

ქვემოთ მოცემული, რომელი მონაცემი არის ამ თვისებრივი ინფორმაციის მაგალითი?

ა სამართლიანი წარდგენა, ნეიტრალურობა და წინდახედულება.

ბ ნეიტრალურობა, შესადარისობა და სამართლიანი წარდგენა.

გ წინდახედულება, შესადარისობა და დარიცხვა.

დ ნეიტრალურობა, დარიცხვა და საწარმოს ფუნქციონირებადობა.

32. ბუღალტერმა მოამზადა ქვემოთ მოცემული მაკონტროლებელი ანგარიში:

გაყიდვების ჟურნალის მაკონტროლებელი ანგარიში

	$		$
პ/დ ნაშთი	308,600	კრედიტით მყიდველებისგან მიღებული ფული	148,600
კრედიტით გაყიდვები	154,200		
გაყიდვები ნაღდი ანგარიშსწორებით	88,100	საპროცენტო მოთხოვნა (გადახდის დაგვიანებისთვის)	2,400
კონტრა კრედიტორული დავალიანების ანგარიშის საკრედიტო ნაშთის საპირისპიროდ	4,600	ჩამოწერილი უიმედო ვალები	4,900
		დებიტორული დავალიანების ანარიცხები	2,800
		პ/ბ ნაშთი	395,800
	555,500		555,500

რამდენი იქნება პერიოდის ბოლოს ნაშთი, როცა დებიტორული დავალიანების მაკონტროლებელი ანგარიშის მომზადებისას დაშვებული ყველა შეცდომა კორექტირდება?

ა $395,200

ბ $304,300

გ $309,500

დ $307,100

33. **ქვემოთ ჩამოთვლილი, რომელი არსებითი მოვლენა უნდა კლასიფიცირდეს როგორც მაკორექტირებელი, თუ ისინი მოხდა საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მოვლენებსა და ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე?**

1. საანგარიშგებო თარიღისთვის ქონების ღირებულების გაუფასურების დამადასტურებელი ქონების შეფასება.
2. საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული მარაგის გაყიდვა თვითღირებულებაზე ნაკლებ ფასად.
3. საანგარიშგებო თარიღისთვის შეცდომის ან თაღლითობის აღმოჩენა.
4. საანგარიშგებო თარიღისთვის ვალის მქონე მყიდველის გადახდისუუნარობა.

ა მხოლოდ 1-ლი, მე-2 და მე-4

ბ 1-ლი, მე-2, მე-3 და მე-4

გ მხოლოდ 1-ლი და მე-4

დ მხოლოდ მე-2 და მე-3

34. კომპანია მარაგს ფიფო მეთოდის გამოყენებით აფასებს. 2005 წლის 1 მაისს კომპანიას ჰქონდა 700 ცალი ძრავა, თითოეულის ფასი $190. 20X6 წლის 30 აპრილს დასრულებული წლის განმავლობაში განხორციელდა შემდეგი ოპერაციები:

2005

1 ივლისი	შეისყიდეს	500 ცალი ძრავა	1 ცალის ფასი $220
1 ნოემბერი	გაყიდეს	400 ცალი ძრავა	$160,000-ად

2006

1 თებერვალი	შეისყიდეს	300 ცალი ძრავა	1 ცალის ფასი $230
15 აპრილი	გაყიდეს	250 ცალი ძრავა	$125,000-ად

რამდენი იქნება კომპანიის ძრავების საბოლოო ნაშთის ღირებულება 2006 წლის 30 აპრილს?

ა $188,500

ბ $195,500

გ $166,000

დ $106,000

35. B კომპანიამ მოამზადა საცდელი ბალანსის ამონარიდი 20X7 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის. დებეტების ჯამი $300–ით მეტია კრედიტების ჯამზე.

ქვემოთ მოცემულ რომელ განაცხადს შეუძლია ახსნას დისბალანსის მიზეზი?

ა გაყიდვების პირველადი გატარების ჟურნალიდან გამოტოვებულია $300–ის გაყიდვა.

ბ უკან დაბრუნებული გაყიდული საქონელი ჩაიწერა საცდელი ბალანსის დებეტის მხარეს.

გ მიღებული $150 ფასდათმობა ჩაიწერა საცდელი ბალანსის დებეტის მხარეს.

დ სალაროს ანგარიშის ნაშთსა და ბანკის ამონაწერის ნაშთს შორის $300 სხვაობაა.

36. განსაზღვრეთ, უნდა კაპიტალიზდეს თუ არა შემდეგი მუხლები, როგორც არამატერიალური აქტივები:

	კაპიტალიზდება? დიახ/არა
კვლევით სამუშაოებში ჩართულ თანამშრომელთა ხარჯები	
ახალი პროდუქტის სამუშაო მოდელის კონსტრუირების ხარჯები	
სამეცნიერო ექპერიმენტის წარმართვასთან დაკავშირებული სამომხმარებლო და სხვა მატერიალური ხარჯები	
პროდუქციის წარმოებისა და გაყიდვის ნებართვის ლიცენზიის შესყიდვა 10 წლით	

37. რომელი მოსაზრებაა მცდარი?

ა დარიცხული ხარჯი ამცირებს მოგებას.

ბ დარიცხული შემოსავალი ამცირებს მოგებას.

გ წინასწარგადახდა აქტივია.

დ დარიცხული ხარჯი ვალდებულებაა.

38. შპს Q-მ, ფინანსური ანგარიშგების დასამთავრებლად, ქვემოთ მოცემული მუხლები უნდა განიხილოს. კომპანიამ უნდა:

1. გასცეს გარანტია მისი პროდუქტის ვარგისიანობის შესახებ. კომპანიის სტატისტიკა აჩვენებს, რომ გაყიდვების 5%-ზე საგარანტიო მომსახურება სრულდება.
2. გასცეს ოვერდრაფტის გარანტია სხვა კომპანიაზე. გარანტიის გამო განსაზღვრულია ვალდებულების ალბათობის წარმოქმნის შესაძლებლობა.

ფინანსურ ანგარიშგებაში რა მოქმედება უნდა გაკეთდეს, ზემოხსენებული მუხლების გასათვალისწინებლად?

	ანარიცხის შექმნა	მხოლოდ ინფორმაციის გასაჯაროება	არავითარი მოქმედება
ა	1	2	
ბ		1	2
გ	1-ლი და მე-2		
დ		1-ლი და მე-2	

39. ქვემოთ მოცემული ინფორმაციიდან, რომელია ფულადი ნაკადების ანგარიშგების ნაკლი?

ა ის ითვალისწინებს არაფულადი ოპერაციების ეფექტს.

ბ ის ხელს უწყობს საწარმოს ლიკვიდურობის შეფასებას.

გ შეუძლებელია ციფრებით მანიპულაცია მომგებიანი სააღრიცხვო პოლიტიკის დადგენისას.

დ ის ეხმარება მომხმარებლებს მომავალი ფულადი ნაკადების შეაფასებაში.

40. რომელი ფორმულით გამოითვლება მარაგის ბრუნვის პერიოდი დღეებში?

ა გაყიდული საქონლის თვითღირებულება გაყოფილი საშუალო მარაგზე x 365.

ბ გაყიდვებიდან ამონაგები გაყოფილი საშუალო მარაგის თვითღირებულებაზე x 365.

გ გაყიდვებიდან ამონაგები გაყოფილი საშუალო მარაგის გასაყიდ ფასზე x 365.

დ საშუალო მარაგის თვითღირებულება გაყოფილი გაყიდული საქონლის თვითღირებულება x 365.

(სულ 80 ქულა)

ნაწილი ბ

ორივე კითხვა სავალდებულოა.

1. K კომპანიამ შეიძინა D კომპანიის აქციების 80% 20X5 წლის 1 ივნისს. ქვემოთ შემოთავაზებულია K კომპანიის და D კომპანიის მოგებისა და ზარალის ანგარიშგება 20X6 წლის 31 მაისის მდგომარეობით:

	K კომპანია	D კომპანია
	$000	$000
ამონაგები რეალიზაციიდან	8,400	3,200
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	(4,600)	(1,700)
საერთო მოგება	3,800	1,500
საოპერაციო ხარჯები	(2,200)	(960)
მოგება დაბეგვრამდე	1,600	540
მოგების გადასახადი	(600)	(140)
მოცემული წლის მოგება	1,000	400

წლის განმავლობაში K-მ $1,000,000-ის თვითღირებულების საქონელი მიჰყიდა D–ს $1,500,000-ად. 20X6 წლის 31 მაისს ამ საქონლის 30% დარჩენილია D კომპანიის მარაგში გასაყიდი.

მოგეთხოვებათ:

ა. **მოამზადოთ K ჯგუფის კონსოლიდირებული მოგებისა და ზარალის ანგარიშგება 20X6 წლის 31 მაისს დასრულებული წლისთვის.**

შენიშვნა: წლის კონსოლიდირებული მოგების დადგენისთანავე დაასრულეთ ანგარიშგება. არ მოგეთხოვებათ არამაკონტროლებელი წილისა და ჯგუფის წილის განსაზღვრა. აჩვენეთ ყველა გაანგარიშება, რადგან გამოთვლებში იწერება შესაბამისი ქულები. **(8 ქულა)**

ბ. **ქვემოთ მოცემული რომელი ფორმულა აღწერს უკეთ კონსოლიდირებულ მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში ჩასაწერ K ჯგუფისთვის მისაკუთვნებელი მოგების ოდენობას?**

ა ჯგუფის მოგება დაბეგვრის შემდეგ – არამაკონტროლებელი წილი.

ბ ჯგუფის მოგება დაბეგვრის შემდეგ + არამაკონტროლებელი წილი.

გ K კომპანიის მოგება დაბეგვრის შემდეგ.

დ ჯგუფის მოგება დაბეგვრის შემდეგ.

(2 ქულა)

(სულ 10 ქულა)

2. კომპანია მალის საანგარიშგებო პერიოდი მთავრდება 31 ოქტომბერს. ბუღალტერი ამზადებს ფინანსურ ანგარიშგებას 20X7 წლის 31 ოქტომბრისთვის და თქვენი დახმარება სჭირდება. მთავარი წიგნიდან მომზადდა საცდელი ბალანსი.

	დებეტი	*კრედიტი*
	$000	$000
შენობა თვითღირებულებით	740	
შენობის დაგროვილი ცვეთა 20X6 წლის 1 ნოემბრისთვის		60
ქარხანა თვითღირებულებით	220	
ქარხნის დაგროვილი ცვეთა 20X6 წლის 1 ნოემბრისთვის		110
ბანკის ნაშთი		70
გაყიდვებიდან ამონაგები		1,500
წმინდა შესყიდვები	1,140	
მარაგი 20X6 წლის 1 ნოემბრის მდგომარეობით	160	
სალარო	20	
კრედიტორული დავალიანება		250
დებიტორული დავალიანება	320	
გაუნაწილებელი მოგება 20X6 წლის 1 ნოემბერს		130
$1-იანი სააქციო კაპიტალი		400
საემისიო კაპიტალი		80
	2,600	2,600

ხელმისაწვდომია შემდეგი დამატებითი ინფორმაცია:

1. ქარხანას ცვეთა ერიცხება ნაშთის შემცირების მეთოდით 20%-იანი წლიური განაკვეთით, ხოლო შენობას ცვეთა ერიცხება თვითღირებულებაზე წრფივი მეთოდით წლიური 5% განაკვეთით. ცვეთის ხარჯი განიხილება, როგორც რეალიზებული საქონლის თვითღირებულების ხარჯი.
2. მარაგის საბოლოო ნაშთი შეფასებულია $75,000-ად.

მოგეთხოვებათ:

მოამზადოთ კომპანია მალის მოგებისა და ზარალის და ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 20X7 წლის 31 ოქტომბრის მდგომარეობით.

(სულ 10 ქულა)